



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„აჭარ ენერჯი 2007“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და ინდივიდუალური მმართველობის
ანგარიშგება დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარ ენერჯი 2007“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მართვადობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ინდივიდუალური მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
ინდივიდუალური კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11-29

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	19
5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები.....	20
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი.....	22
7. მარაგები.....	23
8. სავაჭრო მოთხოვნები	23
9. კაპიტალის მართვა.....	23
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	24
11. სავაჭრო ვალდებულებები	25
12. მიღებული სესხები	25
13. ამონაგები	26
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	26
15. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	26
16. პირობითი ვალდებულებები	26
17. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები.....	27
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	29
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	29
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	29

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარ ენერჯი 2007“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „აჭარ ენერჯი 2007“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვედნილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჯგუფის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 06 ივნისს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ჩაღათაი ულქერ

დირექტორი

2025 წლის 06 ივნისი.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მიღებულ სესხებში 2024 წლის 31 დეკემბრით 571,243,193 ლარი (2023 წელი - 566,155,124 ლარი) ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები მიღებული სესხების ნაშთის სიზუსტესთან და გამოყენებული აღრიცხვის მეთოდთან (ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად) დაკავშირებით (შენიშვნა 12), შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მიღებული სესხების ნაშთთან ასევე, ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

კომპანიას, 200,000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შესყიდული აქვს სახელმწიფოსგან. აღნიშნული ნაკვეთი შესყიდვის მომენტში მითვისებული იყო ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ. სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, 2016-2021 წლებში ამ ფიზიკურ პირებზე გადახდილი იქნა კომპენსაციები 2024 წელს გადახდილი ავანსის ნაშთი ფინანსურ ანგარიშგებაში - 8,439,367 ლარი (2023 წელი - 8,439,367 ლარი). ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები ზემოთ დასახელებული ნაშთის სიზუსტესთან დაკავშირებით (შენიშვნა 8), შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებით

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ოპერირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. როგორც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში არის აღნიშნული, კომპანიას აქვს უარყოფითი წლის სრული შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო წელს, ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ეს მოვლენები და გარემოებები, აგრეთვე, შენიშვნა #2-ში აღწერილი სხვა ფაქტორები, მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რასაც შეუძლია ექვეყნე დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი. მენეჯმენტის გეგმები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით აგრეთვე მოცემულია კოსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში.

ჩვენი მოსაზრება ამ მიმართებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შესაბამემა თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასეების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასეების შესაბამისად აუდიტის ჩატარება

ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. SARAS-A-730184)

06 ივნისი 2025 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ინდივიდუალური მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	60,619,073	42,009,371
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(29,883,632)	(32,029,451)
საერთო მოგება		30,735,441	9,979,920
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	15	(3,128,565)	(4,497,607)
ცვეთა და ამორტიზაცია		(387,089)	(603,468)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(2,663,303)	(2,930,178)
პერსონალის ხარჯი		(1,755,992)	(1,580,624)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(23,288)	(26,459)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ზარალი/მოგება		22,777,204	341,584
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		(22,357,354)	1,176,305
საპროცენტო ხარჯი		(26,399,827)	(25,649,753)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		101,687	77,630
ზარალი/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(25,878,290)	(24,054,234)
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		(25,878,290)	(24,054,234)
გადაფასების რეზერვი		-	374,260
სულ სხვა სრული შემოსავალი		(25,878,290)	(23,679,974)

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩალათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	5,095,788	6,317,923
სავაჭრო მოთხოვნები	8	5,161,894	6,576,224
გადახდილი ავანსები	8	11,439,206	9,872,411
სხვა მიმდინარე აქტივები		34,366	31,331
მარაგები	7	116,382	61,127
სულ მიმდინარე აქტივები		21,847,636	22,859,016
ძირითადი საშუალებები	10	252,107,192	275,598,291
სულ გრძელვადიანი აქტივები		252,107,192	275,598,291
სულ აქტივები		273,954,828	298,457,307
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საწედებო კაპიტალი	9	20,000,000	20,000,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(320,486,238)	(294,607,948)
გადაფასების ნამეტი		374,260	374,260
სულ საკუთარი კაპიტალი		(300,111,978)	(274,233,688)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	12	445,150,049	470,455,586
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		445,150,049	470,455,586
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		2,309,211	1,881,508
სავაჭრო ვალდებულებები	11	514,402	551,916
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	12	126,093,144	99,801,985
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		128,916,757	102,235,409
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		273,954,828	298,457,307

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩალთაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ინდივიდუალური კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	20,000,000	(270,553,714)	-	(250,553,714)
ზარალი წლის განმავლობაში	-	(24,054,234)	-	(24,054,234)
გადაფასების რეზერვი	-		374,260	374,260
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,000,000	(294,607,948)	374,260	(274,233,688)
ზარალი წლის განმავლობაში	-	(25,878,290)	-	(25,878,290)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,000,000	(320,486,238)	374,260	(300,111,978)

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩალათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	61,877,627	37,959,697
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(10,760,777)	(10,684,512)
გადახდილი ავანსები	(1,749,951)	(2,073)
გადახდილი გადასახადები	(2,739,004)	(3,035,223)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(140,202)	(138,353)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	46,487,692	24,099,536
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	46,487,692	24,099,536
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	106,473	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(220,000)	(82,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(113,527)	(82,000)
საფინანსო საქმიანობა		
სესხის აღება	5,427,119	-
გაცემული სესხის დაბრუნება	-	388,500
სესხის გაცემა	-	(388,500)
სესხის ძირის გადახდა	(48,990,612)	(23,240,563)
სესხის პროცენტის გადახდა	(4,018,345)	(1,566,673)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(47,581,839)	(24,807,236)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე	(14,461)	170,415
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(1,222,135)	(619,285)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	6,317,923	6,937,208
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	5,095,788	6,317,923

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩალთაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აჭარ ენერჯი 2007“ („კომპანია“) დაარსდა 2007 წელს და მდებარეობს საქართველოში, იურიდიული და ფაქტიური მისამართით საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი სოფ. მაჭახლისპირი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია:

- სააქციო საზოგადოება "ეკსიმ იათირიმ ჰოლდინგი", 224274 /თურქეთი/ 52%
- აბდულლაჰ თივინიქლი ისარის ფონდი, 4810555472, 5285 /თურქეთი/ 24%
- სააქციო საზოგადოება ისარ იმთირაქლერ ელითიმ ვე სადლიქ, 262147-5 /თურქეთი/ 24%

თავის მხრივ სს „ეკსიმ იათირიმ ჰოლდინგი“-ს – 24% წილის მფლობელია ეზუბექირ თივინიქლი (3/ნ 53896118304), რომელიც წარმოადგენს საბოლოო მაკონტროლებელ პირს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

- ენერგეტიკული ობიექტები და ჰესები - პროექტირება, მშენებლობა, რეაბილიტაცია.
- ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოს ელექტროსისტემისთვის გარანტირებული სიმძლავრის ელექტროენერგიის წარმოების უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის გენერაცია. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივია კირნათ ჰესი და ხელვაჩაური ჰესი, რომლებიც მდებარეობს კომპანიის ფაქტიური მისამართის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე. საქართველოში რეზერვირების პერიოდი, გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი, ასევე წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფი რეგულირდება საქართველოს მთავრობის და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ („სემეკ“).

2. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 შეფასების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, საინვესტიციო ქონების გარდა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2.3 საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთი მხარე ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2.4 უწყვეტობის პრინციპი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა მოამზადა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს მოქმედებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც გულისხმობს იმას, რომ ის განჭვრეტად მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი დაუფარავი ზარალი ყოველ წლიურად მზარდია, რის გამოც მუდმივად განვიხილავთ ფუნქციონირებადობის საკითხს. ყოველ წლიურად ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ კომპანიას მიღებული აქვს დაკავშირებული მხარისაგან დიდი ოდენობით სესხები, რაც ინვესტირებულია ჰესის მშენებლობაში და მიმდინარე სამუშაოებში. ჰესის სრულყოფილი და გამართული ფუნქციონირება ექსპლუატაციის დასაწყისში მოითხოვს დიდ ინვესტიციებს, ამიტომ კაპიტალის უკუგებას ჯერ საწარმო არ მოელის. ეს არის გრძელვადიანი ინვესტიცია, რომელიც უკუგებას მოიტანს გრძელვადიან პერიოდში. ამადროულად საწარმოს გააჩნია გარანტირებული გაყიდვები და შესაბამისად ფულადი ნაკადების შემოდინებები, რადგანაც ელექტრო სადგურის მნიშვნელოვანი მასშტაბებით ექსპლუატაცია და ელექტრო ენერგიის გამომუშავება მნიშვნელოვანია რეგიონისა და ქვეყნისათვის. შესაბამისად ფუნქციონირებადობის საკითხი ექვეყნე არ დგას, თუმცა უკიდურეს შემთხვევაში კომპანიას აქვს დამფუძნებლის მხარდაჭერის მოლოდინი;

2.5 წარსადგენი ვალუტა

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD / GEL	2.8068	2.6894
1 EUR / GEL	2.9306	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

ჰესების, მიწა და შენობა-ნაგებობების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

მანქანა-დანადგარების, ავეჯის და ოფისის აღჭურვილობის და სატრანსპორტო საშუალებების შეფასებისას კომპანია იყენებს გადაფასების მოდელს. შეფასება განხორციელებულია სერთიფიცირებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი

ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებების მსხვილი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალში ამ ხარჯიდან ეკონომიკური სარგებლის მიიღება. მცირე მასშტაბის რემონტი ხარჯად აღიარდება ჩატარების მომენტში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, თუ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს ამოღებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯის სხვაობასა და მის ხმარებაში არსებულ ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება ამოღებად ნაწილამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ხარჯი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინაწლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ხარჯი ჩამოიწერება, თუ ადგილი ჰქონდა ცვილებას აქტივის ხმარებაში არსებული ღირებულების ან ზემოაღნიშნული სხვაობის დასადგენად გამოყენებულ თანხებში.

რეალიზაციის მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშში მოგება ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ჰესები	50 წელი
ავეჯი და ოფისის აღდურვილობა	10-20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტი-ზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის ადდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ცალკეული აქტივის ადდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წამომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

ადდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის დანახარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) ადდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის ადდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:	ფინანსური მენეჯერი
დირექტორი:	ბარიშ აქიუზ
ჩაღათაი ულქერ	

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება. გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

3.5 მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწრა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.6 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულის სალაროში და მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს სამ თვემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით. ფული და ფულის ექვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.7 გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკებს, საკრედიტო დაწესებულებებს, სადაზღვეო კომპანიებს და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აგროსილზე' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

2015 წლის 7 დეკემბრის, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება ინდივიდუალურ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ).

გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდების მომენტში. დღგ-ის ჩათვლა ჩვეულებრივ ხდება საგადასახადო ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანო იძლევა დღგ-ის ურთიერთჩათვლის საშუალებას. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშში აღიარებულია ურთიერთჩათვლის საფუძველზე კომპანიაში შემავალი თითოეული კომპანიისათვის და განისაზღვრება როგორც აქტივი ან ვალდებულება. მოთხოვნებზე გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ტარდება დებიტორის მთლიან თანხაზე, დღგ-ის ჩათვლით.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი ასპექტები.

ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება - ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღირიცხება, თუ არსებობს სხვაობა რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის და შეიძლება მისი დამტკიცება სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების მეშვეობით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტს ეხებოდა ან შეფასების ისეთი ტექნიკით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს ეყრდნობა.

ფინანსური აქტივების ყველა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს რეგულირებით ან საბაზრო შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში აქტივის მიწოდებას (ანუ „ჩვეულებრივი“ ყიდვა-გაყიდვა) აღირიცხება ვაჭრობის დღეს, ანუ იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მხარეს მიაწვდის ფინანსურ აქტივს. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე ხდება.

ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ქვემოთ აღწერილი წესით:

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ ამ მახასიათებლებს აქტივის ან ვალდებულების ფასწარმოქმნისვის შეფასების მომენტში.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელიმე კომპონენტებია

დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტრების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება აქტიურ ბაზარზე კოტირებულად, თუკი კოტირებული ფასები ხელმისაწვდომია რეგულარულად შესაბამისი ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით და ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად გაშლილი ხელის მანძილზე განხორციელებად ტრანზაქციებს ბაზარზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისათვის, რომელთა შესახებ საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, გამოიყენება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან გაშლილი ხელის მანძილზე განხორციელებული ტრანზაქციის ფასი, ან არსებული ფინანსური ინფორმაციის შესწავლა.

ტრანზაქციის ხარჯები ის მზარდი ხარჯებია, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, ემისიასთან ან რეალიზაციასთან. მზარდია ის ხარჯი, რომელიც გაიწეოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებზე მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოს, მარეგულირებელ სამსახურებში და ბირჟებზე გადახდილ მოსაკრებლებს, აგრეთვე ქონების გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს სესხის პრემიუმებსა და ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ-ჰოლდინგურ ხარჯებს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვა ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებითა და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის, გაუფასურების ზარალის შემთხვევაში ჩამოწერების

გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და მთავარ თანხაზე პრემიუმებისა თუ ფასდათმობების ამორტიზაციას, რომელიც ირიცხება

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდათმობა ან პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები) ცალკეულად არ ტარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის,

ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების კომპანიას) ამორტიზირებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური

ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ხდება ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი სახსრების დისკონტირება პროცენტის გადათვლის შემდგომ დღემდე. აღნიშნული არ ვრცელდება პრემიუმებზე და ფასდათმობებზე, რომლებიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები

ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი სავარაუდო მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ყველა ურთიერთ გადახდილი ან მიღებული საკომისიო იმ კონტრაქტის მხარეებს შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, სამშენებლო კონტრაქტის აქტივებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, ობლიგაციებსა და ვადიან საბანკო დეპოზიტებს. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების

კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ბიზნეს მოდელის შეფასება განხორციელდა ფასს 9-ის თავდაპირველი დანერგვისას, 2022 წლის 1 იანვარს. ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. ისტორიულად კომპანიას არ გაუყიდა ფინანსური ინსტრუმენტები. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური აქტივს კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და მათ აკლასიფიცირებს პირველ ბიზნეს-მოდელში - ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით (H2C).

კომპანიის ფულადი ნაკადები სამშენებლო და სავაჭრო მოთხოვნებიდან აკმაყოფილებს SPPI ტესტის პირობებს, რადგანამ ამ ტიპის აქტივებს არ ერიცხება საპროცენტო შემოსავალი. გაცემული სესხები ასევე აკმაყოფილებს მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდის კრიტერიუმს, რადგან გაცემულ სესხებზე ყველა საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენილი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავლის აღიარდება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს გაუფასურების რეზერვის ხარჯს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით წლის მოგება/ზარალში. გაუფასურების რეზერვის ხარჯი დამოკიდებულია კომპანიის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასების მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში როცა პირველადი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა, შეფასებულია 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს წარმოადგენს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება ნაგულისხმევ მოვლენას, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში. როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდა ან თუ დადგინდა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის ანაზღაურება ხდება აქტივის სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო საკრედიტო ზარალის ოდენობა იზომება ფასის სავარაუდო დეფიციტის სავარაუდო შეწონილი ღირებულების საფუძველზე, რომელიც ფასდაკლებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით. ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც სავალდებულოა შეფასებულ იქნას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში, ზარალის ანაზღაურება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში შესაბამისი ხარჯებით. ყველა სხვა შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის ხარჯი ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას შესაბამისი ხარჯით სრულ მოგება/ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფმა გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, რომელიც იყენებს სისცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. სხვა მოთხოვნები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, შემცირებული სავარაუდო საკრედიტო ზარალით.

აღიარების შეწყვეტა: ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდში, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებული და შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა:

- ა) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში. ასეთი ვალდებულებები, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, შემდგომში უნდა შეფასდეს ერთეულის მიერ სამართლიანი ღირებულებით;
- ბ) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან როდესაც გამოიყენება აქტივების შენარჩუნების მიდგომა;
- გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ნასესხებ სახსრებს. წარმოდგენილ პერიოდებში კომპანიას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალი ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული ფინანსური ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღირიცხება დღ-ის ჩათვლით.

აღებული სესხები.

აღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. რეალური ღირებულება დგინდება მსგავს ინსტრუმენტზე მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღებული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო სხვაობა თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებასა და დაფარულ თანხას შორის მოგება-ზარალში აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სესხის მოქმედების პერიოდში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილი საზღაურის მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განხილდება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმომოხილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განხილდება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

3.9 საწესდებო კაპიტალი.

საწესდებო კაპიტალის ოდენობას კომპანიას წესდება განსაზღვრავს. მისი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ კომპანიას მფლობელის გადაწყვეტილებით. სააქციო კაპიტალი აღიარდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ საწესდებო კაპიტალად, თუ იგი კომპანიას მფლობელის შენატანის შედეგია.

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანი (რომელსაც იგი განმარტავს, როგორც გაცხადებულ წმინდა აქტივებს ფასს-ების მიხედვით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში) არის:

- ხელი შეუწყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარს, რომ მან გააგრძელოს ქცეონერებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯ ეფექტური იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია ატარებს თითოეული პოტენციური პროექტის დეტალურ ანალიზს და ამისათვის აწესებს შიდა უკუგების კოეფიციენტის ინდივიდუალურ მინიმალურ მოთხოვნას, ნასესხები სახსრების დანახარჯებისა და საკუთარი კაპიტალის ხელმისაწვდომი დონის გათვალისწინებით.

3.10 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
3.11 სხვა შემოსავლების აღიარება

სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

3.12 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები.

3.13 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩადათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ბ) გადასახადები - კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) აქტივების გაუფასურება და ანარიცხების აღრიცხვა - ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია აფასებს არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი რომ კომპანიის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირებულია საბალანსო ღირებულებებზე ნაკლებ თანხამდე. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაადგინა რომ გაუფასურების ასეთი ინდიკატორი არ არსებობს და შედეგად კომპანიაში არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტი.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ დანერგვას ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებების შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არა მიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არა მიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს გავლენას, ვალდებულების ვადიანობის მიხედვით, კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე, მაშინ შესაბამისობა ახდენს გავლენას მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის კლასიფიკაციაზე, იმის მიუხედავად, რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ, 12 თვის პერიოდში, მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა-განმარტების წარდგენას. ახსნა-განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებსა და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს აქვს უფლება, დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად, ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშვნები არსებობს, თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში.

(ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილება განსაზღვრავს გამყიდველი მოიჯარის მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).

საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა-განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა-განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი, რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფილმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახდელი თანხების ზღვარი და ვადიანობა, რომლებიც დაკავშირებულია SFA - სთან და შესადარისი სავაჭრო ვალდებულება, რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.

SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან, პირველადი დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

ფასს-ების ინტერპრეტაციის კომიტეტმა გამოსცა გარკვეული გადაწყვეტილებები რომლებიც მნიშვნელოვანია 2024 ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, თუმცა მათ დანერგვას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი საკითხი 2024 წლის იანვარი: დედა კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის გაერთიანება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბასს 27)

2024 წლის აპრილი: დასაქმების გაგრძელებაზე დამოკიდებული გადახდები გადაცემის პერიოდში (ფასს 3)

2024 წლის აპრილი: კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (ბასს 37)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:

კომპანიამ ვადადმდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან).

2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დაამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები - ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამონაკლისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას. • დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
 - ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
 - განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.
- მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუციებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.
- ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).

ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).

მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები	12/31/2024	12/31/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	43,314	12,474
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	802,875	602,482
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,180,997	1,572,640
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	68,602	4,130,327
სულ	5,095,788	6,317,923

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი

ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მარაგები	12/31/2024	12/31/2023
ნედლეული და მასალა	36,700	35,537
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	79,682	25,590
ჯამი	116,382	61,127

8. სავაჭრო მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	12/31/2024	12/31/2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,161,894	6,576,224
ჯამი	5,161,894	6,576,224

გადახდილი ავანსები	12/31/2024	12/31/2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,585,374	1,073,703
მიწის მესაკუთრეებზე გადახდილი	8,439,367	8,439,367
ავანსად გაცემული ხელფასები	-	9,884
წინასწარ გაწეული ხარჯი (დაზღვევა)	411,676	346,667
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	2,789	2,790
	11,439,206	9,872,411

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები შედგება „სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ESCO)“ არსებული მოთხოვნებიდან - 4,879,936 ლარი და „შპს თრეიდინგ სოლუშენს“ (ელექტრო ენერგიის გამანაწილებელი) - 281,958 ლარი. მენეჯმენტმა ზემოთ აღნიშნული სავაჭრო მოთხოვნების შეფასებისას გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა და თვლის რომ არ საჭიროებს გაუფასურებას.

9. კაპიტალის მართვა
- ჯგუფის მიზანი კაპიტალის მართვისას (რომელსაც იგი განმარტავს, როგორც გაცხადებულ წმინდა აქტივებს თავის ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში) არის:
- უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს აქციონერებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა.
 - შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ ჯგუფის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი ატარებს თითოეული პოტენციური პროექტის დეტალურ ანალიზს და ამისათვის აწესებს შიდა უკუგების კოეფიციენტის ინდივიდუალურ მინიმალურ მოთხოვნას, ნასესხები სახსრების დანახარჯებისა და საკუთარი კაპიტალის ხელმისაწვდომი დონის გათვალისწინებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებებზე
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მიწა	ჰესი	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ქარის ელ. სადგური	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01-Jan--23	12,138,928	445,745,436	207,651	1,618,015	3,429,988	-	867,356	1,105,571	465,112,945
შემოსვლა	82,003	-	-	-	-	-	358,566	-	440,569
ჩამოწერა	-	(140,354)	-	-	(561,380)	-	(221,330)	(9,725)	(932,789)
გადაფასება	-	-	-	-	(1,551,873)	-	(317,921)	(421,399)	(2,291,193)
კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	1,005,290	-	-	1,005,290
31-Dec-23	12,220,931	445,605,082	207,651	1,618,015	1,316,735	1,005,290	686,671	674,447	463,334,822
შემოსვლა	220,000	137,353	-	-	-	535,235	324,249	-	1,216,837
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	(99,945)	(99,945)
31-Dec-24	12,440,931	445,742,435	207,651	1,618,015	1,316,735	1,540,525	1,010,920	574,502	464,451,714
1-Jan-23	-	(159,089,004)	(78,622)	(681,983)	(2,285,994)	-	(486,049)	(445,624)	(163,067,276)
წლის ცვეთა	-	(27,445,095)	(13,830)	(161,802)	(224,447)	-	(61,590)	(141,800)	(28,048,563)
გადაფასებული ძირ. ცვეთის განულება	-	-	-	-	1,741,471	-	441,230	482,752	2,665,453
ჩამოწერილი ძირ. საშ. ცვეთა	-	89,781	-	-	401,333	-	213,016	9,725	713,855
31-Dec-23	-	(186,444,318)	(92,452)	(843,785)	(367,637)	-	106,607	(94,947)	(187,736,531)
წლის ცვეთა	-	(24,321,027)	(4,038)	(77,423)	(128,139)	-	(100,017)	(77,292)	(24,707,936)
ჩამოწერილი ძირ. საშ. ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	99,945	99,945
31-Dec-24	-	(210,765,345)	(96,489)	(921,208)	(495,776)	-	6,590	(72,294)	(212,344,522)
საბალანსო ღირებულება									
01/01/2023	12,138,928	286,656,432	129,029	936,032	1,143,994	-	381,307	659,947	302,045,669
12/31/2023	12,220,931	259,160,764	115,199	774,230	949,098	1,005,290	793,278	579,500	275,598,291
12/31/2023	12,440,931	234,977,090	111,162	696,807	820,959	1,540,525	1,017,509	502,208	252,107,192

ძირითადი საშუალებების ცვეთა ასახულია ადმინისტრაციულ ხარჯებში - 387,089 ლარი (2023 წელს - 603 468 ლარი), თვითღირებულებაში - 24,320,847 ლარი (2023 წელს 27,445,095 ლარი) ხოლო საექსპლუატაციო ხარჯებში ასახულია - 21 034 ლარი (2023 წელი - 12 890 ლარი).

გადაფასების მოდელის გამოყენებით შეფასებული ძირითადი საშუალებების შეფასება მოხდა სერთიფიცირებული და დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასების ნამეტი შეადგენს 374 260 ლარს. აღნიშნული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება იქნებოდა 1 200 415 ლარი (2022 წელს 1,515,846 ლარი)

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩალათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი

ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	514,402	491,486
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	-	-
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტების წინაშე	-	60,430
ჯამი	514,402	551,916

12. მიღებული სესხები							
კომპანიის დასახელება	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	31-Dec-24 მიმდინარე	31-Dec-24 გრძელვადიანი	31-Dec-23 მიმდინარე	31-Dec-23 გრძელვადიანი
DICLE ELEKTRIK DAGITIM A.S	EUR	2.00%	12/31/2024	3,955,239	524,006	7,521,997	34,271,643
ALBARAKA TURK KATILIM	USD	3.12%	1/8/2025	-	-	31,944	4,070,503
ECC FINANCE AND	USD	4.25%	12/31/2049	16,704,402	81,974,522	-	-
ECC FINANCE AND	USD	5.15%	12/31/2032	105,433,503	362,651,520	92,248,044	432,113,440
სულ სესხები				126,093,144	445,150,049	99,801,985	470,455,586

ლარში	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	სულ
2023 წლის 01 იანვარი	551,041,737	19,765,787	570,807,524
ფულადი			
სესხის აღება	-	-	-
სესხის გადახდა	(23,240,563)	-	(23,240,563)
გადახდილი პროცენტი	-	(1,566,673)	(1,566,673)
არაფულადი			
დარიცხული პროცენტი	-	25,540,437	25,540,437
საკუროსო სხვაობა	(1,575,292)	292,138	(1,283,154)
რეკლასიფიკაცია	(55,770,296)	55,770,296	-
2023 წლის 31 დეკემბერი	470,455,586	99,801,985	570,257,571
ფულადი			
სესხის აღება	5,427,119	-	5,427,119
სესხის გადახდა	(48,990,612)	-	(48,990,612)
გადახდილი პროცენტი	-	(4,018,345)	(4,018,345)
არაფულადი			
დარიცხული პროცენტი	-	12,958,281	12,958,281
საკუროსო სხვაობა	18,257,956	17,351,224	35,609,180
რეკლასიფიკაცია	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	445,150,048	126,093,144	571,243,192

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი: ფინანსური მენეჯერი
ჩადათაი ულქერ ბარიშ აკიუზ

	2024	2023
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციით	47,889,638	31,522,361
შემოსავალი ექსპორტიდან	12,729,435	10,487,010
სულ შემოსავალი	60,619,073	42,009,371

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	24,320,847	27,445,095
ელექტრო ენერგიის გამომუშავების პირდაპირი ხარჯები	3,102,482	2,155,800
პირდაპირი ხელფასი	2,395,148	2,389,152
თვითღირებულებაში შემავალი სხვა ხარჯები	65,155	39,404
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	29,883,632	32,029,451

15. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	2024	2023
დაზღვევის ხარჯი	1,378,943	1,121,508
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	340,086	263,793
დაცვის ხარჯი	321,780	309,790
მივლინების ხარჯი	245,524	254,155
მიმდინარე რემონტის ხარჯები	242,063	492,513
დამხმარე მასალების ხარჯი	173,836	243,021
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	98,413	94,778
გადახდილი კომპენსაციები	96,811	251,392
საწვავის ხარჯი	88,225	83,580
სხვა საოპერაციო ხარჯი	83,638	67,808
კეთილმოწყობის ხარჯი	45,724	70,479
წარმომადგენლობითი ხარჯი	5,187	13,271
ტრანსპორტირება და მძიმე ტექნიკით მომსახურეობის ხარჯი	3,770	53,833
ბანკის საკომისიოს ხარჯი	3,549	24,038
გადახდილი ავანსების გაუფასურება	506	952,740
შესრულებული სამონტაჟო სამუშაოს ხარჯი	510	19,048
დანაკლისი ინვენტარიზაციის შედეგად	-	181,860
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,128,565	4,497,607

16. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შესრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აკიუზ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. ჯგუფის პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

17. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

კომპანია რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა:

ფინანსური აქტივები	31-Dec-24	31-Dec-23
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,095,788	6,317,923
სავაჭრო მოთხოვნები	5,161,894	6,576,224
სულ ფინანსური აქტივები	10,257,682	12,894,147

ფინანსური ვალდებულებები	31-Dec-24	31-Dec-23
სავაჭრო ვალდებულებები	514,402	551,916
მიღებული სესხები	571,243,193	570,257,571
სულ ფინანსური ვალდებულებები	571,757,595	570,809,487

საკრედიტო რისკი.

კომპანია გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას, პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაქტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში, ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

ფინანსური ვალდებულებები	31-Dec-24	31-Dec-23
სავაჭრო ვალდებულებები	514,402	551,916
მიღებული სესხები	571,243,193	570,257,571
სულ ფინანსური ვალდებულებები	571,757,595	570,809,487

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აკიუზ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. ჯგუფის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს ჯგუფის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც ჯგუფს სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

	აქტივები 31-Dec-24	პასივები 31-Dec-24	აქტივები 31-Dec-23	პასივები 31-Dec-23
USD	8,359,532	566,763,947	5,699,987	532,447,704
EUR	2,462	4,479,245	863	37,809,867
ჯამი	8,361,994	571,243,193	5,700,850	570,257,571

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ:

	გავლენა აქტივის		გავლენა პასივის	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
2024 წლის მოგება/(ზარალი)	1,672,399	(1,672,399)	114,248,639	(114,248,639)
2023 წლის მოგება/(ზარალი)	1,140,170	(1,140,170)	114,051,514	(114,051,514)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება, ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც ჯგუფს მოეთხოვება გადახდა.

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
მიღებული სესხები	126,093,144	-	445,150,049
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	514,402	-	-
სხვა ვალდებულებები	2,309,211	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	128,916,757	-	445,150,049

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩადათაი ულქერ

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები
ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებისგან აქვ მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრით 571,243,193 ლარი (31 დეკემბერი 2023 წელი - 566,155,124 ლარი)

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	1,354,582	1,113,823

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ანგარიშგების წარდგენამდე პერიოდში არ განუხორციელებია „ბასს 10“-ით საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები“ გასამჟღავნებელი ტრანზაქციები

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
დირექტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 06 ივნისს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
„აქარ ენერჯი 2007“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება
(2024 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ქ. ბათუმი

2025

შპს „აჭარ ენერჯი-2007“, 2007 წელს დაფუძნდა. მისი ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა ოპერირებას. დღეის მდგომარეობით მისი კაპიტალი შეადგენს 20 000 000 ლარს, ხოლო განხორციელებული ინვესტიცია ჯამურად შეადგენს 250 000 000 დოლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია

- სააქციო საზოგადოება "ეკსიმ იათირიმ ჰოლდინგი", 224274 /თურქეთი/ 52%
- აბდულლაჰ თივინიქლი ისარის ფონდი, 4810555472, 5285 /თურქეთი/ 24%
- სააქციო საზოგადოება ისარ იშთირაქლერ ედითიმ ვე საღლიქ, 262147-5 /თურქეთი/ 24%

თავის მხრივ სს „ეკსიმ იათირიმ ჰოლდინგი“, – 52 %-ის 16,90 % წილის მფლობელია ეზუბეკირ თივინიქლი (პ/ნ 53896118304), რომელიც წარმოადგენს საბოლოო მაკონტროლებელ პირს.

შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის დირექტორები:

- ბორა ჩერმიქლი 19409871234, U23998774 თურქეთია
- რქინ აქბაი 14564913294, U25163383 თურქეთი
- ჩაღათაი ულქერ 21659518210, U06027407 თურქეთი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ დეკლარირებული მიზანია ენერგო- დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანა მიისწრაფვის არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისკენ; ძირითადი ყურადღება ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებას ეთმობა.

მდინარე ჭოროხზე და მდინარე აჭარისყალზე დაგეგმილი ჰესების პროექტები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდინარე ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ საქართველოს მთავრობასა და თურქულ კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმში 2011 წელს დაიდო. პროექტის ზონაში მოქცეული მიწის საერთო ფართობი დაახლოებით 630.689,00 კვ.მ-ს შეადგენს, საიდანაც დაახლოებით 421.161,46 კვ.მ დაიფარება წყლით. დატბორვის ზონაში ყვება მახოს, მირვეთის, აჭარისწყლის, მარადიდისა და კირნათის მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთები.

კომპანია „აჭარ ენერჯი - 2007“-ის მიერ განხორციელდა კალაპოტური ტიპის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა. კასკადის შემადგენლობაში შედისკირნათის, ხელვაჩაური 1-ის ჰესები. შედეგად მოხდა ელექტროენერგიაზე ქვეყნის მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ქვეყნის ენერგოსისტემაში დამატებითი ელექტროენერგიის მიწოდება.

2011 წლის 1 ივლისს, საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის

უმის

თანახმად, კომპანიას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უნდა უზრუნველყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, მათ შორის „კირნათისა“ და „ხელვაჩაური 1“ -ის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამასთან,

„ხელვაჩაური 1 ჰესი“-ს მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება დასრულებულია. ამჟამად, მიმდინარეობს „კირნათი ჰესი“-ს მშენებლობაც, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო პროტესტის გამო ექსპლუატაციაში ვერ შევიდა სრული დატვირთვით და 2018 წლის 13 ნოემბრიდან მხოლოდ ნაწილობრივ ექსპლუატაციაშია.

როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია მითითებული პროექტი, მისი მასშტაბი და ინვესტიციის მოცულობა მნიშვნელოვანია რეგიონისა და ქვეყნისთვის. იგი პოზიტიურ სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას იქონიებს რეგიონზე და წარმოადგენს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტს შემდეგი გარემოებების გამო: „ჰესები“-ს საერთო სიმძლავრე მიაღწევს - 98.731 მეგავატს. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას და გააუმჯობესებს საქართველოს ენერგობალანსს.

კომპანიის მიერ განხორციელებულია საკმაოდ დიდი ოდენობის ინვესტიცია და მიმდინარე ეტაპზე პროექტის განხორციელებისათვის დასაქმებულია 62 თანამშრომელი, აქედან 51 საქართველოს მოქალაქეა.

ამასთან, კომპანიის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით როგორც სახელმწიფოსაგან, ისე კერძო მესაკუთრეებისაგან შესყიდულია დაახლოებით 316 მიწის ნაკვეთი.

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 15 იანვრის №02/01-06 ბრძანებით, კომპანიაზე გაიცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდის ტერიტორიაზე, მდინარე ჭოროხზე 51.251 მგვტ სიმძლავრის, ჰიდროელექტროსადგურის - „კირნათი ჰესი“-ს მშენებლობის ნებართვა პირობით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 2 ნოემბრის №89/1 გადაწყვეტილებით ცვლილება იქნა შეტანილი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 20 მარტის №20.1 გადაწყვეტილებით შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს სახელზე გაცემულ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიაში (სერია11, №089) და დაემატა „კირნათი ჰესი“.

შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის პროექტები:დასრულებული პროექტები:

1. ხელვაჩაური-1 ჰესი



ხელვაჩაურის რ-ნი სოფ. ერგეს მიმდებარედ მდებარე 47.480 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგური. ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა დაიწყო 2012წელს და ექსპლუატაციაში გაეშვა 2017 წელს.

მიმდინარე პროექტები:

კირნათი ჰესი

51.251 მგვტ სიმძლავრის კირნათი ჰესის მშენებლობა დაიწყო 2012 წელს, ხოლო ნაწილობრივ ექსპლუატაციაში გაეშვა 2018 წლის ნოემბერში.

შპს აჭარ ენერჯი-2007 დაფუძნების დღიდან ახორციელებს ინვესტიციას ენერგეტიკის დარგში. წარმატებულად დაასრულა ხელვაჩაური-1 ჰესის მშენებლობა, რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 170

გვტ საათი მოცულობის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და აწვდის საქართველოს ელექტროსისტემას. კირნათი ჰესი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ ექსპლუატაციაშია. სრული დატვირთვის შემთხვევაში მისი საორიენტაციო წლიური გამომუშავება იქნება 219 გვტსაათში.



ლოდუნიალი 1 (ზედა წევას) ქარის ელექტრო სადგური

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან და დაიწყო პროექტის წინარე კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 50მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

იმერეთის ქარის ელექტრო სადგური

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან და დაიწყო პროექტის წინარე კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 50მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

ბოტისის ქარის ელექტრო სადგური

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან და დაიწყო პროექტის წინარე კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 80მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

გორის ქარის ელექტრო სადგური

ხელმოწერის ეტაპზეა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან, ხელმოწერის შემდეგ დაიწყება პროექტის წინარე

კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 80მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

როდუნალი 2 (გალაურთას) ქარის ელექტრო სადგური

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან და დაიწყო პროექტის წინარე კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 50მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

კირნათიჭესი

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

- ჰესის ზომა: საშუალო
- დადგმული სიმძლავრე: 51.25 მგვტ.
- წლიური გამომუშავება: 219.00 მლნ კვტ/სთ
- ნაწილობრივ ექსპლუატაციაში გაშვების წელი: 2018

ხელვაჩაური 1

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

- ჰესის ზომა: საშუალო
- დადგმული სიმძლავრე: 47.480 მგვტ.
- წლიური გამომუშავება: 170.00 მლნ კვტ/სთ
- ექსპლუატაციაში გაშვების წელი: 2017

პროექტებში განხორციელებული ჯამური ინვესტიცია: 250 მლნ. აშშ დოლარიპროექტებში დასაქმებულთა რაოდენობა: 79 კაცი

შპს აჭარ ენერჯი-

2007დირექტორი

ჩაღათაი ულქერ

06.06.2025 წ



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„აჭარ ენერჯი 2007“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და ინდივიდუალური მმართველობის
ანგარიშგება დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარ ენერჯი 2007“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მართვებლობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ინდივიდუალური მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
ინდივიდუალური კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11-29

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	12
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	19
5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები	20
6. ფულადი სახსრები და მათი კვივალენტი	22
7. მარაგები	23
8. სავაჭრო მოთხოვნები	23
9. კაპიტალის მართვა	23
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	24
11. სავაჭრო ვალდებულებები	25
12. მიღებული სესხები	25
13. ამონაგები	26
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	26
15. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	26
16. პირობითი ვალდებულებები	26
17. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები	27
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	29
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	29
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	29

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარ ენერჯი 2007“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „აჭარ ენერჯი 2007“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დამშენების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ჭმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად,
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით,
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვედნილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჯგუფის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 06 ივნისს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ჩაღათაი ულქერ
დირექტორი
2025 წლის 06 ივნისი.



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საღარიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძვლის“ – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მიღებულ სესხებში 2024 წლის 31 დეკემბრით 571,243,193 ლარი (2023 წელი – 566,155,124 ლარი) ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები მიღებული სესხების ნაშთის სიზუსტესთან და გამოყენებული აღრიცხვის მეთოდთან (ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად) დაკავშირებით (შენიშვნა 12), შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მიღებული სესხების ნაშთთან ასევე, ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

კომპანიას, 200,000 კვ.მ, მიწის ნაკვეთი შესყიდული აქვს სახელმწიფოსგან. აღნიშნული ნაკვეთი შესყიდვის მომენტში მითვისებული იყო ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ. სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, 2016-2021 წლებში ამ ფიზიკურ პირებზე გადახდილი იქნა კომპენსაციები 2024 წელს გადახდილი ავანსის ნაშთი ფინანსურ ანგარიშგებაში – 8,439,367 ლარი (2023 წელი – 8,439,367 ლარი). ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი და საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები ზემოთ დასახელებული ნაშთის სიზუსტესთან დაკავშირებით (შენიშვნა 8). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსის) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებით

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ოპერირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, როგორც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში არის აღნიშნული, კომპანიას აქვს უარყოფითი წლის სრული შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო წელს, ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

ეს მოვლენები და გარემოებები, აგრეთვე, შენიშვნა #2-ში აღწერილი სხვა ფაქტორები, მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რასაც შეუძლია ექვემდებარება დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი. მენეჯმენტის გეგმები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით აგრეთვე მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში.

ჩვენი მოსაზრება ამ მიმართებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გაცვენით მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩნია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიწვევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მას „აქარ ენერჯი 2007“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას, დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის ჩატარება

ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახვად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. SARAS-A-730184)

06 ივნისი 2025 წელი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ინდივიდუალური მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	60,619,073	42,009,371
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(29,883,632)	(32,029,451)
საერთო მოგება		30,735,441	9,979,920
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	15	(3,128,565)	(4,497,607)
ცეცხა და ამორტიზაცია		(387,089)	(603,468)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(2,663,303)	(2,930,178)
პერსონალის ხარჯი		(1,755,992)	(1,580,624)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(23,288)	(26,459)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ზარალი/მოგება		22,777,204	341,584
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		(22,357,354)	1,176,305
საპროცენტო ხარჯი		(26,399,827)	(25,649,753)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		101,687	77,630
ზარალი/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(25,878,290)	(24,054,234)
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		(25,878,290)	(24,054,234)
გადაფასების რეზერვი		-	374,260
სულ სხვა სრული შემოსავალი		(25,878,290)	(23,679,974)

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩალათაი ულქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი:
ბარიშაქიძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	5,095,788	6,317,923
სავაჭრო მოთხოვნები	8	5,161,894	6,576,224
გადახდილი ავანსები	8	11,439,206	9,872,411
სხვა მიმდინარე აქტივები		34,366	31,331
მარაგები	7	116,382	61,127
სულ მიმდინარე აქტივები		21,847,636	22,859,016
ძირითადი საშუალებები	10	252,107,192	275,598,291
სულ გრძელვადიანი აქტივები		252,107,192	275,598,291
სულ აქტივები		273,954,828	298,457,307
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საწეებო კაპიტალი	9	20,000,000	20,000,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(320,486,238)	(294,607,948)
გადაფასების ნამეტი		374,260	374,260
სულ საკუთარი კაპიტალი		(300,111,978)	(274,233,688)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	12	445,150,049	470,455,586
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		445,150,049	470,455,586
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		2,309,211	1,881,508
სავაჭრო ვალდებულებები	11	514,402	551,916
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	12	126,093,144	99,801,985
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		128,916,757	102,235,409
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		273,954,828	298,457,307

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩალთაი ულჭერ

2025 წლის 06 ივნისი
11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი
ბარბაქ აქილუა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ინდივიდუალური კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	20,000,000	(270,553,714)	-	(250,553,714)
ზარალი წლის განმავლობაში	-	(24,054,234)	-	(24,054,234)
გადაფასების რეზერვი	-		374,260	374,260
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,000,000	(294,607,948)	374,260	(274,233,688)
ზარალი წლის განმავლობაში	-	(25,878,290)	-	(25,878,290)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,000,000	(320,486,238)	374,260	(300,111,978)

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩალათაი ულქერ



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აჭიურა

2025 წლის 06 ივნისი
11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოშმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	61,877,627	37,959,697
მოშწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(10,760,777)	(10,684,512)
გადახდილი ავანსები	(1,749,951)	(2,073)
გადახდილი გადასახადები	(2,739,004)	(3,035,223)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(140,202)	(138,353)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	46,487,692	24,099,536
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	46,487,692	24,099,536
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	106,473	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(220,000)	(82,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(113,527)	(82,000)
საფინანსო საქმიანობა		
სესხის აღება	5,427,119	-
გაცემული სესხის დაბრუნება	-	388,500
სესხის გაცემა	-	(388,500)
სესხის ძირის გადახდა	(48,990,612)	(23,240,563)
სესხის პროცენტის გადახდა	(4,018,345)	(1,566,673)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(47,581,839)	(24,807,236)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე	(14,461)	170,415
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(1,222,135)	(619,285)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	6,317,923	6,937,208
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	5,095,788	6,317,923

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩაღათაი ულუქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქილშ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აქარ ენერჯი 2007“ („კომპანია“) დაარსდა 2007 წელს და მდებარეობს საქართველოში, იურიდიული და ფაქტიური მისამართით საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი სოფ. მაჭახლისპირი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია:

- სააქციო საზოგადოება "ექსიმ იათირიმ ჰოლდინგი", 224274 /თურქეთი/ 52%
- აბდულლაჰ თივინიქლი ისარის ფონდი, 4810555472. 5285 /თურქეთი/ 24%
- სააქციო საზოგადოება ისარ იმთირაქლერ ელითიმ ვე სალიქი, 262147-5 /თურქეთი/ 24%

თავის მხრივ სს „ექსიმ იათირიმ ჰოლდინგი“-ს – 24% წილის მფლობელია ებუბეჩერ თივინიქლი (პ/ნ 53896118304), რომელიც წარმოადგენს საბოლოო მაკონტროლებელ პირს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

- ენერგეტიკული ობიექტები და ჰესები - პროექტირება, მშენებლობა, რეაბილიტაცია.
- ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოს ელექტროსისტემისთვის გარანტირებული სიმძლავრის ელექტროენერგიის წარმოების უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის გენერაცია. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივია კირნათ ჰესი და ხელვაჩაური ჰესი, რომლებიც მდებარეობს კომპანიის ფაქტიური მისამართის მიმდებარე არსებულ ტერიტორიაზე. საქართველოში რეზერვირების პერიოდი, გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი, ასევე წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფი რეგულირდება საქართველოს მთავრობის და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ („სემეკ“).

2. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 შეფასების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსი“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, საინვესტიციო ქონების გარდა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ზდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შეფასებებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ. საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს. ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2.3 საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ზომები განაგრძობენ გავლენას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩალათაი ულუქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქილუხ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

განიცხადეს ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწყეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე. დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს. ზემოთ აღწერილის შესაბამისად, მეორე მხრივ, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთიგვან ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2.4 უწყვეტობის პრინციპი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა მოამზადა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს მოქმედებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც გულისხმობს იმას, რომ ის განჰყრეტად მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი დაუფარავი ზარალი ყოველ წლიურად მზარდია, რის გამოც მუდმივად განვიხილავთ ფუნქციონირებადობის საკითხს. ყოველ წლიურად ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ კომპანიას მიღებული აქვს დაკავშირებული მხარისაგან დიდი ოდენობით სესხები, რაც ინვესტირებულია ჰესის მშენებლობაში და მიმდინარე სამუშაოებში. ჰესის სრულყოფილი და გამართული ფუნქციონირება ექსპლუატაციის დასაწყისში მოითხოვს დიდ ინვესტიციებს, ამიტომ კაპიტალის უკუგებას ჯერ საწარმო არ მოელის, ეს არის გრძელვადიანი ინვესტიცია, რომელიც უკუგებას მოიტანს გრძელვადიან პერიოდში, ამადროულად საწარმოს გააჩნია გარანტირებული გაყიდვები და შესაბამისად ფულადი ნაკადების შემოდინებები, რადგანაც ელექტრო სადგურის მნიშვნელოვანი მასშტაბებით ექსპლუატაცია და ელექტრო ენერგიის გამომუშავება მნიშვნელოვანია რეგიონისა და ქვეყნისათვის. შესაბამისად ფუნქციონირებადობის საკითხი ექვექმ არ დგას, თუმცა უკიდურეს შემთხვევაში კომპანიას აქვს დამფუძნებლის მხარდაჭერის მოლოდინი.

2.5 წარსადგენი ვალუტა

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამჟამად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აღიარებულია აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოხატული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცემი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD / GEL	2.8068	2.6894
1 EUR / GEL	2.9306	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

ჰესების, მიწა და შენობა-ნაგებობების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

მანქანა-დანადგარების, ავეჯის და ოფისის აღჭურვილობის და სატრანსპორტო საშუალებების შეფასებისას კომპანია იყენებს გადაფასების მოდელს. შეფასება განხორციელებულია საერთაშორისო დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩაღათაი ულქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებების მსხვილი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალში ამ ხარჯიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება, მცირე მასშტაბის რემონტი ხარჯად აღიარდება ჩატარების მომენტში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, თუ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს ამოღებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯის სხვაობასა და მის ხმარებაში არსებულ ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება ამოღებად ნაწილამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ხარჯი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინაწლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ხარჯი ჩამოიწერება, თუ ადგალი ჰქონდა ცვილებას აქტივის ხმარებაში არსებული ღირებულების ან ზემოაღნიშნული სხვაობის დასადგენად გამოყენებულ თანხებში.

რეალიზაციის მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშში მოგება-ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ჭესები	50 წელი
ავეჯი და ოფისის აღლურვილობა	10-20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ზომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ გალკული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წამომქმნილი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის, ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიცვანება მის აღდგენით ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩალათაი ულქერ



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება. გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

3.5 მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარგალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარგალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწრა ზორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.6 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს სამ თვემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით, ფული და ფულის ექვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.7 გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწყევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აგროსილზე' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იზღვრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაყიდი დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იზღვრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შედავითიანი საგადასახადო რეკომის მქონე იურიდიული პირების რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას, ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება ინდივიდუალურ საგადასახადო ანგარიშზე, ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩალათაი ულუქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ნაწილს ინდივიდუალური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი

ბარიშ აქიყი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ).

გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ გადახდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდების მომენტში. დღგ-ის ჩათვლა ჩვეულებრივ ხდება საგადასახადო ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანო იძლევა დღგ-ის ურთიერთჩათვლის საშუალებას. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშში აღიარებულია ურთიერთჩათვლის საფუძველზე კომპანიაში შემავალი თითოეული კომპანიისათვის და განისაზღვრება როგორც აქტივი ან ვალდებულება. მოთხოვნებზე გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ტარდება დებიტორის მთლიან თანხაზე, დღგ-ის ჩათვლით.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი ასპექტები.

ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება - ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღირიცხება, თუ არსებობს სხვაობა რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის და შეიძლება მისი დამტკიცება სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების მეშვეობით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტს ეხებოდა ან შეფასების ისეთი ტექნიკით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს ეყრდნობა.

ფინანსური აქტივების ყველა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს რეგულირებით ან საბაზრო შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში აქტივის მიწოდებას (ანუ „ჩვეულებრივი“ ყიდვა-გაყიდვა) აღირიცხება ვაჭრობის დღეს, ანუ იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მხარეს მიაწვდის ფინანსურ აქტივს. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე ხდება.

ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ქვემოთ აღწერილი წესით:

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ ამ მახასიათებლებს აქტივის ან ვალდებულების ფასწარმოქმნისვის შეფასების მომენტში.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელიმე კომპონენტებია

დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტრების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება აქტიურ ბაზარზე კოტირებულად, თუკი კოტირებული ფასები ხელმისაწვდომია რეგულარულად შესაბამისი ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით და ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად გამოიღო ხელის მანძილზე განხორციელებად ტრანზაქციებს ბაზარზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისათვის, რომელთა შესახებ საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, გამოიყენება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან გამოიღო ხელის მანძილზე განხორციელებული ტრანზაქციის ფასი, ან არსებული ფინანსური ინფორმაციის შესწავლა.

ტრანზაქციის ხარჯები ის მზარდი ხარჯებია, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, ემისიასთან ან რეალიზაციასთან. მზარდია ის ხარჯი, რომელიც გაიწეოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოს, მარეგულირებელ სამსახურებში და ბირჟებზე გადახდილ მოსაკრებლებს, აგრეთვე ქონების გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს სესხის პრემიუმებსა და ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ-პოლდინგურ ხარჯებს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩალათაი ულუქრ



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წარმომადგენელ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვა ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებითა და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის, გაუფასურების ზარალის შემთხვევაში ჩამოწერების

გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და მთავარ თანხაზე პრემიუმებისა თუ ფასდათმობების ამორტიზაციას, რომელიც ირიცხება

ფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდათმობა ან პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები) ცალკეულად არ ტარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში.

ფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის,

ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების კომპანიას) ამორტიზირებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური

ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ხდება ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი სახსრების დისკონტირება პროცენტის გადათვლის შემდგომ დღემდე. აღნიშნული არ ვრცელდება პრემიუმებზე და ფასდათმობებზე, რომლებიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ემთხვევა საბაზრო განაკვეთს, ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები

ამორტიზდება ინსტრუმენტის მიუღი სავარაუდო მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ყველა ურთიერთ გადახდილი ან მიღებული საკომისიო იმ კონტრაქტის მხარეებს შორის, რომელიც ფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის გვივალენტებს, სამშენებლო კონტრაქტის აქტივებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, ობლიგაციებსა და ვადიან საბანკო დეპოზიტებს. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების

კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადახდილ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ბიზნეს მოდელის შეფასება განხორციელდა ფასს 9-ის თავდაპირველი დანერგვისას, 2022 წლის 1 იანვარს. ყველა ფინანსური ინსტრუმენტს კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. ისტორიულად კომპანიას არ გაუყიდა ფინანსური ინსტრუმენტები, წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური აქტივს კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და მათ აკლასიფიცირებს პირველ ბიზნეს-მოდელში - ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით (H2C).

კომპანიის ფულადი ნაკადები სამშენებლო და სავაჭრო მოთხოვნებიდან აკმაყოფილებს SPPI ტესტის პირობებს, რადგანაც ამ ტიპის აქტივებს არ ერიცხება საპროცენტო შემოსავალი, გაეცემა ინტერესები და სხვა აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის კრიტერიუმს, რადგან გაცემულ სესხებზე ყველა საპროცენტო გადახდა ფინანსური აქტივის ფუნქციონირებას ემსახურება.

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩალთაი ულუქრ



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუშვი

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჩარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავლის აღიარდება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაფიცი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს გაუფასურების რეზერვის ხარჯს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით წლის მოგება/ზარალში. გაუფასურების რეზერვის ხარჯი დამოკიდებულია კომპანიის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასების მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში როცა პირველადი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა, შეფასებულია 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ეს წარმოადგენს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება ნაგულისხმებ მოვლენას, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში, როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდა ან თუ დადგინდა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის ანაზღაურება ხდება აქტივის სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. საგარეულო საკრედიტო ზარალის ოდენობა იზომება ფასის საგარეულო დეფიციტის საგარეულო შეწონილი ღირებულების საფუძველზე, რომელიც ფასდაკლებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით. ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც სავალდებულო შეფასებულ იქნას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში, ზარალის ანაზღაურება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში შესაბამისი ხარჯებით, ყველა სხვა შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის ხარჯი ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას შესაბამისი ხარჯით სრულ მოგება/ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფმა გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, რომელიც იყენებს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადავილებული დღეების მიხედვით, სხვა მოთხოვნები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, შემცირებული საგარეულო საკრედიტო ზარალით.

აღიარების შეწყვეტა: ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდში, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებული და შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა:

- ა) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში. ასეთი ვალდებულებები, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, შემდგომში უნდა შეფასდეს ერთეულის მიერ სამართლიანი ღირებულებით;
- ბ) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოქმნილია მათში, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან როდესაც გამოიყენება აქტივების მხარსულების მიდგომა;
- გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩაღათაი ულქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ნასესხებ სახსრებს. წარმოდგენილ პერიოდებში კომპანიას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული ფინანსური ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღირიცხება დღ-ის ჩათვლით.

აღებული სესხები.

აღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით, რეალური ღირებულება დგინდება მსგავს ინსტრუმენტზე მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღებული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო სხვაობა თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებასა და დაფარულ თანხას შორის მოგება-ზარალში აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სესხის მოქმედების პერიოდში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულებდა - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

3.9 საწესდებო კაპიტალი.

საწესდებო კაპიტალის ოდენობას კომპანიას წესდება განსაზღვრავს, მისი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ კომპანიას მფლობელის გადაწყვეტილებით. სააქციო კაპიტალი აღიარდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ საწესდებო კაპიტალად, თუ იგი კომპანიას მფლობელის შენატანის შედეგია.

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანი (რომელსაც იგი განმარტავს, როგორც გაცხადებულ წმინდა აქტივებს ფას-ების მიხედვით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში) არის:

- ხელი შეუწყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უზარს, რომ მან გააგრძელოს ქეიონერებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯ ეფექტური იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია ატარებს თითოეული პოტენციური პროექტის დეტალურ ანალიზს და ამისათვის აწესებს შიდა უკუგების კოეფიციენტის ინდივიდუალურ მინიმალურ მოთხოვნას, ნასესხები სახსრების დანახარჯებისა და საკუთარი კაპიტალის ხელმისაწვდომი დონის გათვალისწინებით.

3.10 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოხალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებებში.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩალათაი ულქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი

ბარიშ აქიოზ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
3.11 სხვა შემოსავლების აღიარება

სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

3.12 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შეგებულებები, შეგებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული ბენეფიციები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიციები.

3.13 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებითი შენიშვნებში, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების ძილოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში, ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩალთაი ულუქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქილუ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის
(*ქართულ ლარში*)

შეფასებებთან ერთად, განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

ა) **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა** განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება, თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივებული ეკონომიკური სარგებლის შეცირებას.

ხელმძღვანელობამ დარწმინდილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ბ) **გადასახადები** - კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები, შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) **აქტივების გაუფასურება და ანარიზების აღრიცხვა** - ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია აფასებს არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი რომ კომპანიის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ თანხამდე, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაადგინა რომ გაუფასურების ასეთი ინდიკატორი არ არსებობს და შედეგად კომპანიაში არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტი.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების წამთების პირობები მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ დანერგვას ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებების შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არა მიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არა მიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაადგდის ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს გავლენას, ვალდებულების ვადიანობის მიხედვით, კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე, მაშინ შესაბამისობა ახდენს გავლენას მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის კლასიფიკაციაზე. იმის მიუხედავად, რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ, 12 თვის პერიოდში, მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა-განმარტების წარდგენას. ახსნა-განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩალათაი ულუქერ



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიოუ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებსა და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე საეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს აქვს უფლება, დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად, ბასს 8 შესაბამისად. საეციფიკური დანერგვის მინიშვნები არსებობს, თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში.

(ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილება განსაზღვრავს გამყიდველი მოიჯარის მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).

საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა-განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ინვესტირებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა-განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი, რომელზეც ფინანსურების უზრუნველყოფილმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახდელი თანხების ზღვარი და ვადიანობა, რომლებიც დაკავშირებულია SFA - სთან და შესადარისი სავაჭრო ვალდებულება, რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.

SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამისი ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან, პირველადი დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

ფასს-ების ინტერპრეტაციის კომიტეტმა გამოსცა გარკვეული გადაწყვეტილებები რომლებიც მნიშვნელოვანია 2024 ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, თუმცა მათი დანერგვას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი საკითხი 2024 წლის იანვარი: დედა კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის გაერთიანება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ბასს 27)

2024 წლის აპრილი: დასაქმების გაგრძელებაზე დამოკიდებული გადახდები გადაცემის პერიოდში (ფასს 3)

2024 წლის აპრილი: კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (ბასს 37)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:

კომპანიამ ვადადგე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან).

2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დაამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები - ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩალთაი ულქერ



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიოზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მოზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამონაკლისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას, • დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შესაბამისა თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
 - ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მოზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
 - განმარტებითი შენიშვნების განახლება აქტივების ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.
- მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ეფუძნება საწარმოსათვის რელევანტურია.
- ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).

ახალი სტანდარტი ანაცვლეს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებითი შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).

მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები	12/31/2024	12/31/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	43,314	12,474
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	802,875	602,482
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,180,997	1,572,640
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	68,602	4,130,327
სულ	5,095,788	6,317,923

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
ჩალათაი ულუქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)
 7. მარაგები

მარაგები	12/31/2024	12/31/2023
ნედლეული და მასალა	36,700	35,537
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	79,682	25,590
ჯამი	116,382	61,127

8. სავაჭრო მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	12/31/2024	12/31/2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,161,894	6,576,224
ჯამი	5,161,894	6,576,224

გადახდილი ავანსები	12/31/2024	12/31/2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,585,374	1,073,703
მიწის მესაკუთრებზე გადახდილი	8,439,367	8,439,367
ავანსად გაცემული ხელფასები	-	9,884
წინასწარ გაწეული ხარჯი (დაზღვევა)	411,676	346,667
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	2,789	2,790
	11,439,206	9,872,411

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები შედგება „სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ESCO)“ არსებული მოთხოვნიდან - 4,879,936 ლარი და „შპს თრეიდიנג სოლუშენს“ (ელექტრო ენერგიის გამანაწილებელი) - 281,958 ლარი, მენეჯმენტმა ზემოთ აღნიშნული სავაჭრო მოთხოვნების შეფასებისას გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა და თვლის რომ არ საჭიროებს გაუფასურებას.

9. კაპიტალის მართვა
- ჯგუფის მიზანი კაპიტალის მართვისას (რომელსაც იგი განმარტავს, როგორც გაცხადებულ წმინდა აქტივებს თავის ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში) არის:
- უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს აქციონერებისთვის უკუგების, ზოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა.
 - შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ ჯგუფის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი ატარებს თითოეული პოტენციური პროექტის დეტალურ ანალიზს და ამისათვის აწესებს შიდა უკუგების კოფიციენტის ინდივიდუალურ მინიმალურ მოთხოვნას, წასესხები სახსრების დანახარჯებისა და საკუთარი კაპიტალის ხელმისაწვდომი დონის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის სახელით:
 დირექტორი:
 ჩალათაი ულუქერ



ფინანსური მენეჯერი
 ბარიშ აქილუზ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "კარ, ენერჯი 2007"
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყებებზე
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (გრძელდ. ლარში)

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	ბიზნ.	პენი	შენიშვნები	მხრება- დანადგარები	ქარის ელ. სადგურები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01-Jan-23	12,138,928	445,745,436	207,651	1,618,015	3,429,988	867,356	1,105,571	465,112,945
შემოსავალი	82,003	-	-	-	-	358,566	-	440,569
ჩამოწერა	-	(140,354)	-	-	(561,380)	(221,330)	(9,725)	(932,789)
გადაფასება	-	-	-	-	(1,551,873)	(317,921)	(421,399)	(2,291,193)
კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	1,005,290	-	1,005,290
31-Dec-23	12,220,931	445,605,082	207,651	1,618,015	1,316,735	686,671	674,447	463,334,822
შემოსავალი	220,000	137,353	-	-	-	324,249	-	1,216,837
ჩამოწერა	-	-	-	-	-	535,235	(99,945)	(99,945)
31-Dec-24	12,440,931	445,742,435	207,651	1,618,015	1,316,735	1,540,525	574,502	464,451,714
1-Jan-23	-	(159,089,004)	(78,622)	(681,983)	(2,285,994)	-	(445,624)	(163,067,276)
წლის ცვლილება	-	(27,445,095)	(13,830)	(161,802)	(224,447)	(61,590)	(141,800)	(28,048,563)
გადაფასებული ძირ. ცვლილების განვლება	-	-	-	-	1,741,471	441,230	482,752	2,665,453
ჩამოწერილი ძირ. სპ. ცვლილება	-	89,781	-	-	401,333	213,016	9,725	713,855
31-Dec-23	-	(186,444,318)	(92,452)	(843,785)	(367,637)	106,607	(94,947)	(187,736,531)
წლის ცვლილება	-	(24,321,027)	(4,038)	(77,423)	(128,139)	(100,017)	(77,292)	(24,707,936)
ჩამოწერილი ძირ. სპ. ცვლილება	-	-	-	-	-	-	99,945	99,945
31-Dec-24	-	(210,765,345)	(96,489)	(921,208)	(495,776)	6,590	(72,294)	(212,344,522)
საბალანსო ღირებულება								
01/01/2023	12,138,928	286,656,432	129,029	936,032	1,143,994	-	659,947	302,045,669
12/31/2023	12,220,931	259,160,764	115,199	774,230	949,098	1,005,290	579,500	275,598,291
12/31/2023	12,440,931	234,977,090	111,162	696,807	820,959	1,017,509	502,208	252,107,192

ძირითადი საშუალებების ცვლილება ასახულია ანგარიშსწორებულ ხარჯებში - 387,089 ლარი (2023 წლის) - 603,468 ლარი, თვითღირებულებას - 24,320,847 ლარი (2023 წლის) 27,445,095 ლარი) ხოლო სავალდებულო ხარჯებში ასახულია - 21,034 ლარი (2023 წელი - 12,890 ლარი).

გადაფასების მოდელის გამოყენებით შევასწავლო ძირითადი საშუალებების შეცვას მხოლოდ სერიოზული ფაქტორების შემთხვევაში, მაგრამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: გადაფასების ნაშტი შეადგენს 2,665,453 ლარს, აღნიშნული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება იქნებოდა 1,200,415 ლარი (2022 წლის 1,515,846 ლარი)

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩალითა ულუქერი

ფინანსური მენეჯერი

მარიამ აბოშვილი

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	514,402	491,486
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	-	-
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტების წინაშე	-	60,430
ჯამი	514,402	551,916

12. მიღებული სესხები

კომპანიის დასახელება	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადაბრუნება	31-Dec-24 მიმდინარე	31-Dec-24 გრძელვადიანი	31-Dec-23 მიმდინარე	31-Dec-23 გრძელვადიანი
DICLE ELEKTRIK DAGITIM A.S	EUR	2.00%	12/31/2024	3,955,239	524,006	7,521,997	34,271,643
ALBARAKA TURK KATILIM	USD	3.12%	1/8/2025	-	-	31,944	4,070,503
ECC FINANCE AND	USD	4.25%	12/31/2049	16,704,402	81,974,522	-	-
ECC FINANCE AND	USD	5.15%	12/31/2032	105,433,503	362,651,520	92,248,044	432,113,440
სულ სესხები				126,093,144	445,150,049	99,801,985	470,455,586

ლარში	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	სულ
2023 წლის 01 იანვარი	551,041,737	19,765,787	570,807,524

<i>ფულადი</i>			
სესხის აღება	-	-	-
სესხის გადახდა	(23,240,563)	-	(23,240,563)
გადახდილი პროცენტი	-	(1,566,673)	(1,566,673)
<i>არაფულადი</i>			
დარიცხული პროცენტი	-	25,540,437	25,540,437
საკურსო სხვაობა	(1,575,292)	292,138	(1,283,154)
რეკლასიფიკაცია	(55,770,296)	55,770,296	-
2023 წლის 31 დეკემბერი	470,455,586	99,801,985	570,257,571

<i>ფულადი</i>			
სესხის აღება	5,427,119	-	5,427,119
სესხის გადახდა	(48,990,612)	-	(48,990,612)
გადახდილი პროცენტი	-	(4,018,345)	(4,018,345)
<i>არაფულადი</i>			
დარიცხული პროცენტი	-	12,958,281	12,958,281
საკურსო სხვაობა	18,257,956	17,351,224	35,609,180
რეკლასიფიკაცია	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	445,150,048	126,093,144	571,243,192

ხელმძღვანელობის სახელით:
 დირექტორი:
 ჩალათაი ულქერ



ფინანსური მენეჯერი
 ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი
 11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)
 13. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციით	47,889,638	31,522,361
შემოსავალი ექსპორტიდან	12,729,435	10,487,010
სულ შემოსავალი	60,619,073	42,009,371

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	24,320,847	27,445,095
ელექტრო ენერგიის გამოძუმძავების პირდაპირი ხარჯები	3,102,482	2,155,800
პირდაპირი ხელფასი	2,395,148	2,389,152
თვითღირებულებაში შემაველი სხვა ხარჯები	65,155	39,404
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	29,883,632	32,029,451

15. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	2024	2023
დაზღვევის ხარჯი	1,378,943	1,121,508
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	340,086	263,793
დაცვის ხარჯი	321,780	309,790
მივლინების ხარჯი	245,524	254,155
მიმდინარე რემონტის ხარჯები	242,063	492,513
დამხმარე მასალების ხარჯი	173,836	243,021
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	98,413	94,778
გადახდილი კომპენსაციები	96,811	251,392
საწვავის ხარჯი	88,225	83,580
სხვა საოპერაციო ხარჯი	83,638	67,808
კეთილმოწყობის ხარჯი	45,724	70,479
წარმომადგენლობითი ხარჯი	5,187	13,271
ტრანსპორტირება და მძიმე ტექნიკით მომსახურების ხარჯი	3,770	53,833
ბანკის საკომისიოს ხარჯი	3,549	24,038
გადახდილი ავანსების გაუფასურება	506	952,740
შესრულებული სამონტაჟო სამუშაოს ხარჯი	510	19,048
დანაკლისი ინვენტარიზაციის შედეგად	-	181,860
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,128,565	4,497,607

16. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებებისა და ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნული უწყებები წარმოადგენს საკუთარი ინტერპრეტაციები.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:

ჩაღათაი ულუქერ

ფინანსური მენეჯერი

ბარიშ აქიუზ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა. შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. ჯგუფის პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად. შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

17. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

კომპანია რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს: საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამოიწვევს იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა:

ფინანსური აქტივები	31-Dec-24	31-Dec-23
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,095,788	6,317,923
სავაჭრო მოთხოვნები	5,161,894	6,576,224
სულ ფინანსური აქტივები	10,257,682	12,894,147

ფინანსური ვალდებულებები	31-Dec-24	31-Dec-23
სავაჭრო ვალდებულებები	514,402	551,916
მიღებული სესხები	571,243,193	570,257,571
სულ ფინანსური ვალდებულებები	571,757,595	570,809,487

საკრედიტო რისკი.

კომპანია გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შესრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას, პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაქტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის მასშტაბური საკრედიტო რისკი, ასახულია ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში, ჯგუფის მასშტაბური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

ფინანსური ვალდებულებები	31-Dec-24	31-Dec-23
სავაჭრო ვალდებულებები	514,402	551,916
მიღებული სესხები	571,243,193	570,257,571
სულ ფინანსური ვალდებულებები	571,757,595	570,809,487

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი:
 ჩალათაი ულქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი
 ზარიმ აქიოუ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აჭარ ენერჯი 2007"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არაძიწარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. ჯგუფის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს ჯგუფის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული. აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც ჯგუფს სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

	აქტივები 31-Dec-24	პასივები 31-Dec-24	აქტივები 31-Dec-23	პასივები 31-Dec-23
USD	8,359,532	566,763,947	5,699,987	532,447,704
EUR	2,462	4,479,245	863	37,809,867
ჯამი	8,361,994	571,243,193	5,700,850	570,257,571

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ:

	გავლენა აქტივის		გავლენა პასივის	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
2024 წლის მოგება/(ზარალი)	1,672,399	(1,672,399)	114,248,639	(114,248,639)
2023 წლის მოგება/(ზარალი)	1,140,170	(1,140,170)	114,051,514	(114,051,514)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება, ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით. აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა სოპერაციო და სავალ მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაეძგმდებარებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც ჯგუფს მოეთხოვება გადახდა.

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
მიღებული სესხები	126,093,144	-	445,150,049
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	514,402	-	-
სხვა ვალდებულებები	2,309,211	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	128,916,757	-	445,150,049

ხელმძღვანელობის სახელით:
დირექტორი:
ჩაღათაი ულქერ

2025 წლის 06 ივნისი
11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მენეჯერი
ბარიშ აქიუზ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აქარ ენერჯი 2007"
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებისგან აქვ მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრით - 571,243,193 ლარი (31 დეკემბერი 2023 წელი - 566,155,124 ლარი)

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	1,354,582	1,113,823

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ანგარიშგების წარდგენამდე პერიოდში არ განუხორციელებია „ბასს 10“-ით საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები“ გასამყლავნებელი ტრანზაქციები

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 06 ივნისს.

ხელმძღვანელობის სახელით:
 დირექტორი:
 ჩალათაი ულუქერ

2025 წლის 06 ივნისი

11-29 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფინანსური მენეჯერი
 ბარიშ აქიუზ



შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
„აჭარ ენერჯი 2007“

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება
(2024 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ქ. ბათუმი
2025

შპს „აჭარ ენერჯი-2007“, 2007 წელს დაფუძნდა. მისი ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა ოპერირებას. დღეის მდგომარეობით მისი კაპიტალი შეადგენს 20 000 000 ლარს, ხოლო განხორციელებული ინვესტიცია ჯამურად შეადგენს 250 000 000 დოლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია

- სააქციო საზოგადოება "ეკსიმ იათირიმ ჰოლდინგი", 224274 /თურქეთი/ 52%
- აბდულლაჰ თივინიქლი ისარის ფონდი, 4810555472, 5285 /თურქეთი/ 24%
- სააქციო საზოგადოება ისარ იმთირაქლერ ელითიმ ევ საღლიქ, 262147-5 /თურქეთი/ 24%

თავის მხრივ სს „ეკსიმ იათირიმ ჰოლდინგი“, – 52 %-ის 16,90 % წილის მფლობელია ეზუბექირ თივინიქლი (პ/ნ 53896118304), რომელიც წარმოადგენს საბოლოო მაკონტროლებელ პირს.

შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის დირექტორები:

- ბორა ჩერმიქლი 19409871234, U23998774 თურქეთი
- რეჟინ აქბაი 14564913294, U25163383 თურქეთი
- ჩალათაი ულქერ 21659518210, U06027407 თურქეთი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ დეკლარირებული მიზანია ენერგო- დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანა მიისწრაფვის არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისკენ. ძირითადი ყურადღება ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებას ეთმობა.

მდინარე ჭოროხზე და მდინარე აჭარისყალზე დაგეგმილი ჰესების პროექტები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდინარე ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ საქართველოს მთავრობასა და თურქულ კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმში 2011 წელს დაიდო. პროექტის ზონაში მოქცეული მიწის საერთო ფართობი დაახლოებით 630.689,00 კვ.მ-ს შეადგენს, საიდანაც დაახლოებით 421.161,46 კვ.მ დაიფარება წყლით. დატბორვის ზონაში ყვება მახოს, მირვითის, აჭარისწყლის, მარადიდისა და კირნათის მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთები.

კომპანია „აჭარ ენერჯი - 2007“-ის მიერ განხორციელდა კალაპოტური ტიპის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა. კასკადის შემადგენლობაში შედის კირნათის, ხელვაჩაური 1-ის ჰესები. შედეგად მოხდა ელექტროენერგიაზე ქვეყნის მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ქვეყნის ენერგოსისტემაში დამატებითი ელექტროენერგიის მიწოდება.

2011 წლის 1 ივლისს, საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის

თანახმად, კომპანიას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უნდა უზრუნველყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, მათ შორის „კირნათის“ და „ხელვაჩაური 1“-ის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამასთან,

„ხელვაჩაური 1 ჰესი“-ს მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება დასრულებულია. ამჟამად, მიმდინარეობს „კირნათი ჰესი“-ს მშენებლობაც, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო პროტესტის გამო ექსპლუატაციაში ვერ შევიდა სრული დატვირთვით და 2018 წლის 13 ნოემბრიდან მხოლოდ ნაწილობრივ ექსპლუატაციაშია.

როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია მითითებული პროექტი, მისი მასშტაბი და ინვესტიციის მოცულობა მნიშვნელოვანია რეგიონისა და ქვეყნისთვის. იგი პოზიტიურ სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას იქონიებს რეგიონზე და წარმოადგენს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტს შემდეგი გარემოებების გამო: „ჰესები“-ს საერთო სიმძლავრე შეადგენს - 98.731 მეგავატს. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას და გააუმჯობესებს საქართველოს ენერგობალანსს.

კომპანიის მიერ განხორციელებულია საკმაოდ დიდი ოდენობის ინვესტიცია და მიმდინარე ეტაპზე პროექტის განხორციელებისათვის დასაქმებულია 62 თანამშრომელი, აქედან 51 საქართველოს მოქალაქეა.

ამასთან, კომპანიის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით რიგორც სახელმწიფოსაგან, ისე კერძო მესაკუთრეებისაგან შესყიდულია დაახლოებით 316 მიწის ნაკვეთი.

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 15 იანვრის №02/01-06 ბრძანებით, კომპანიაზე გაიკა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდის ტერიტორიაზე, მდინარე ჭოროხზე 51.251 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - „კირნათი ჰესი“-ს მშენებლობის ნებართვა პირობით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 2 ნოემბრის №89/1 გადაწყვეტილებით ცელილება იქნა შეტანილი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 20 მარტის №20.1 გადაწყვეტილებით შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს სახელზე გაცემულ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიაში (სერია11, №089) და დაემატა „კირნათი ჰესი“.

შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის პროექტები:დასრულებული პროექტები:

1. ხელვაჩაური-1 ჰესი



ხელვაჩაურის რ-ნი სოფ. ერგეს მიმდებარედ მდებარე 47.480 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგური. ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა დაიწყო 2012წელს და ექსპლუატაციაში გაეშვა 2017 წელს.

მიმდინარე პროექტები:

კირნათი ჰესი

51.251 მგვტ სიმძლავრის კირნათი ჰესის მშენებლობა დაიწყო 2012 წელს, ხოლო ნაწილობრივ ექსპლუატაციაში გაეშვა 2018 წლის ნოემბერში.

შპს აჭარ ენერჯი-2007 დაფუძნების დღიდან ახორციელებს ინვესტიციას ენერგეტიკის დარგში. წარმატებულად დაასრულა ხელვაჩაური-1 ჰესის მშენებლობა, რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 170

გეტ საათი მოცულობის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და აწვდის საქართველოს ელექტროსისტემას. კირნათი ჰესი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ ექსპლუატაციაშია. სრული დატვირთვის შემთხვევაში მისი საორიენტაციო წლიური გამოიმუშავება იქნება 219 გეცსაათში.



ლოდუნიალი 1 (ზედა წევას) ქარის ელექტრო სადგური

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან და დაიწყო პროექტის წინარე კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 50მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

იმერეთის ქარის ელექტრო სადგური

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან და დაიწყო პროექტის წინარე კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 50მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

ბოტისის ქარის ელექტრო სადგური

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან და დაიწყო პროექტის წინარე კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 80მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

გორის ქარის ელექტრო სადგური

ხელმოწერის ეტაპზეა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან, ხელმოწერის შემდეგ დაიწყება პროექტის წინარე

კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 80მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

როდუნიალი 2 (ჯალაურთას) ქარის ელექტრო სადგური

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფოსთან და დაიწყო პროექტის წინარე კვლევის სამუშაოები. პროექტი გათვლილია 50მგვტ დადგმულ სიმძლავრეზე.

კირნათიჭესი

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

- ქესის ზომა: საშუალო
- დადგმული სიმძლავრე: 51.25 მგვტ.
- წლიური გამომუშავება: 219.00 მლნ კვტ/სთ
- ნაწილობრივ ექსპლუატაციაში გაშვების წელი: 2018

ხელვაჩაური 1

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

- ქესის ზომა: საშუალო
- დადგმული სიმძლავრე: 47.480 მგვტ.
- წლიური გამომუშავება: 170.00 მლნ კვტ/სთ
- ექსპლუატაციაში გაშვების წელი: 2017

პროექტებში განხორციელებული ჯამური ინვესტიცია: 250 მლნ. აშშ დოლარიპროექტებში დასაქმებულთა რაოდენობა: 79 კაცი

შპს აჭარ ენერჯი-

2007დირექტორი

ჩალათაი ულქერ

06.06.2025 წ

